

# დ რ თ ე ბ

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 107.

კვირა, 17 მაისი 1909 წ.

დამატების № 19.

### მართას როლანი.

(თარგმანი)

#### I

კრაინსკი დააფიქრა თავის „პატარა მეგობრის“ გაცივებამ და იმისმა წარბეჭერულმა ბუტიობამ.

„გაიბუტოს, დეე, გაიბუტოს! — ფიქრობდა კრაინსკი: — ძრიელ არა ვწუხვარ. მოსწყინდება და ისევ დამიტკბება. კვლავაც მომხდარა ამისთანა რამ... სხვა რომ არა იყოს რა, ამ ჩემ წითელ-ლოყა, ფუნჩულა, რგვალ, გულ-უბრყვილო თვალეზიან გოგონას ძლიერ შვენის გაბუტება. სასაცილოა... მართაბს. უყურებ იმის შეკრულ წარბებს, მოკუმულ პაწაწა ალისფერ ტუჩებს და მეღიმება. მინდა უფრო გავაბრაზო, მინდა იქამდის მივიყვანო, რომ იმისმა თვალეზმა ნაპერწკლები გადმოჰყარონ... შემდეგ, როცა ღრუბლები გადიყრება, როცა დაუბრუნდება ქალს თავისი ჩვეულებრივი უდარდელი დრო, უფრო გაგიჟებდება, უფრო განაზდება და იმისი კოცნა ისევე გაცხოველდება და გატკბება, როგორც პირველში იყო... დეე, გაიბუტოს“.

აგერ ერთი წელიწადია, რაც კრაინსკი დაუახლოვდა მართას. სტუდენტი-ექიმი კარგა შეძლებული ყმაწვილი იყო. სხვა რუსის სტუდენტებივით მშიერი არ დალასლასებდა, მდიდრულად ეცვა და გარეგანი შეხედულობაც მიმზიდველი ჰქონდა. მაღალი, ტანწვრილი, ღონიერი, სახე გაწყობილი, კეთილის, დიდრონის ნაცრისფერ თვალეზით, ოქროს ფერ მშვენიერ წვერ-ულვაშით, იგი ძრიელ მოსწონდათ ქალებს, თუმცა კრაინსკი ამას დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა. ის იყო (გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების შემო). კაცი მშვიდი, წყნარი, გატაცება არუყვარდა და კმაყოფილდებოდა თავის მართათი და არცა დალატობა. რაც შეეხება პატარა ჩვიდმეტი წლის უბრალო გოგოს, იმანაც გატაცებით შეიყვარა წარმოსადეგი კრაინსკი. კრაინსკის შეხედვრამდე მართა მუშაობდა ფესსაცმლის ქარხანაში: ყურებს აკრებდა ფესსაცმელს, მუშაობდა თორმეტ-თოთხმეტ საათს დღე-ღამეში, თითები მთლად დაშავებული ჰქონდა ტყავისაგან და ეს სიშავე ისე ჰქონდა გამჯდარი ფრჩხილებში, რომ აღარც კი გადასდიოდა, ყოველთვის ტყავის სუნი ასდიოდა...

კრაინსკის მოეწონა, თავისთან წაიყვანა და დასახლდნენ ცოლ-ქმრულად.

კრაინსკი დიდად კმაყოფილი იყო თავის მეგობრით. ყმაწვილი ქალიც ბედნიერი იყო თავის სიყვარულით და მეტად-

რე იმითი, რომ გადურჩა საშინელ სამუშაოს და სცხოვრობდა საკუთარ სადგომში, როგორც ნამდვილი ქალბატონი, „comme une vraie petite bourgeoise“, ბეჯითად დიასახლისობდა, ჰკერავდა, ქსოვდა, ალაგებდა, მღეროდა. მღეროდა ხშირად და ბევრს და თუმცა სიტყვები სიმღერისა სხვა და სხვანაირი იყო, მაგრამ აზრი კი ყოველთვის ერთი, და იგივე: სიხარული თავის სიყვარულით, თავის ბედნიერებით, თავის ვიდმეტის წლის სინორჩით...

კრაინსკის საშინლად მოსწონდა ეს სიმღერა, ეს მუდამ-ეჟამს სიმზიარულით ახსავსე გული. კრაინსკი მუშა კაცი იყო გატაცებით მუშაობდა უნივერსიტეტში, საავადმყოფოებში, წიგნთ-საცავებში და როცა დაღლილი შინ ბრუნდებოდა, ჯდებოდა სავარძელში, იქიდან უყურებდა თავის ამხანაგს და სტკებოდა. მართა ფუსფუსებდა, მოძრაობდა, წამდაუწუმ მიიბრუნებდა ქმართან, უკოცნიდა ტუჩებს, უამბობდა რაღაც დაუსრულებელს დიდად ახტაცებული... კრაინსკი კი ყურს არ უგდებდა, მხოლოდ იღიმებოდა და ფიქრობდა: „კარგია... კეთილი, რგვალი, ფუნჩულა, სუფთა... მომეტებულად სადა, ძლივს იცის კითხვა. ერთხელ ვილაცამ ჰკითხა — რა არის „ადრიატიკა“, და მართამ თამამად უბასუხა, რაღაც მცენარეაო. მაგრამ რა ვქნათ... სამაგიეროდ, რამდენი სისუფთავეა მასში, რამდენი სიქორფე, რამდენი გაზაფხულის სურნელოვანება... თითქო თვით ამ ბუნების მშვენიერ მინდვრების ყვავილებსა ჰხედავს კაცი“...

კვირაობით თეატრში დადიოდნენ. კაფე-მანტანი ან იმისთანა წარმოდგენა, სადაც ბევრს იცინებდნენ, სადაც გულით უნდოდა წასვლა დაღალულ სტუდენტს, არ მოსწონდა მართას. კრაინსკის უკვირდა, რომ მართა თხოულობდა „კომედი ფრანსე“-ში წასვლას და მასთან დიდად დაბაისელ პიესებზე: „ერნანზე“, რასინის ტრაგედიებზე და სხვაზე. იქნება მართას ბევრი არაფერი ესმოდა ამ შედეგებისა, მაგრამ ახტაცებით კი ისმენდა, დიდის გულხმვიერებით. წარმოდგენებს შემდეგ მართა ყოველთვის ჩაფიქრებული იყო, დადარბაისლებული... ხანდახან გულიანად ამოიოხრებდა ხოლმე და დიდის ხნით ფიქრს ეძლეოდა. მერე დაიწყებდა სიმღერას ხმა დაბლა, დაღონებულს, სევდიანს სიმღერას, საეკლესიო ჰიმნს, გაგონილს აქ, თავის სამშობლოში, აღდგომა ღამეს, იქ მივარდნილ სამშობლო სოფელში, მოხუცის კიურეს ნათქვამს...

— ძრიელ კარგი ხალხნი უნდა იყვნენ, — ჩაფიქრებულია სთქვა ერთხელ მართამ, როდესაც „ანდრომაზა“ მოისმინა.



მანათე ნინოშვილი



— ვისზე ამბობ?

— აი იმათზე... ვინც ტრაგედიებს სთხავს... ბატონი რასინი... — თვალები უცებ სიხარულით აეღო: — ძვირფასო, შესთხვე შენც ტრაგედია!

— რასა როტავ! — გაჰკვირდა კრაინსკი.

— არა, შესთხვე! შენც ხომ ჰკვიანი, განათლებული ხარ... ოჰ, რა სიმაღლეა ტრაგედიის შეთხვა!

მუშაობ, დაიღლები, დაიქანცები, მოხვალ შენ და მხიარულისა და პირ-მოცინარის მაგივრად, დაღონებული თვალე-ბი, მოწყენილი პირქუშობა დაგვხდება. არც დასვენებაა და არც გართობა!

— რა დაგეპართა, ჩემო ჩიტუნია? — უკმაყოფილო კილოთი შეეკითხა კრაინსკი ერთხელ მართას.

მართა მიბრუნდა, შეჰხედა თვალეში და რო დაინახა მისი უკმაყოფილო სახე, უჩუმრად გავიდა ოთახიდან.

— რა დამემართა და, — შეჰკვირა იქიდან: — ის, რომ შენ თავის დღეში არ გამომხატავ ვენერად, ხვთის-მშობლად, არც მესვლინად...

კრაინსკი სახტად დარჩა.

— რა?... რა სთქვი?

— დიახ. არც კლვოპატრად, არც ასპაზიად, არც სხვა ვინმეთ.

— შეშლილი ხარ! რეებს ჰპოდავ?... საიდან გაიგონე ეგ სიტყვები?

— არა, მე შეშლილი არა ვარ! — ცხარედ მიუგო მართამ.

— მე დიდი ხანია ვითმენ... მე გთხოვე... გთხოვე შეგეთხვა ტრაგედია... შენ კი სულ ძვლებს არჩევ, ეგზამენებს უნდები... დიდი რამ არის ექიმობა! ჩვენ სოფელ-შიაც არის ერთი ექიმი, ლოთი და გამოშტერებული! „ოსტეოლოგია“! მე რა უნდა გავაკეთო შენს გვერდით?! ყოველთვის სისულელეზე მელაპარაკები... მამლერებ... არაფრის გაკეთება არ გინდა ჩემთვის, არ მელაპარაკები ხელოვნებაზე, მხატვრობაზე, არც დამხატავ საბიის დე დოფლად, სომხეთის დედოფლად...

კრაინსკი გაშტერებული შეჰყურებდა აღზნებულ მართას და ჰკვირობდა. მერე გადინახარა.

— საყვარელო, რა კარგი ხარ, რა ტუტრუცანა ხარ! ყველა ეგებები მიზარიანცმა შეგაგონა? — და თან კრაინსკი სიმხიარულემ მოიცვა. — იქნება, შეგიყვარდა კიდევ მიზარიანცი? ჰა, შეგიყვარდა აღზნებულად, ძლიერად, უზომოდ? იქნება გინდა, გამცვალო იმაზე?

მართას სახეზე გამოიხატა დაღვრემილობა, თითქმის მძულვარება.

— მშვენიერება! — ხმა მალღო ხარხარებდა კრაინსკი: — მშვენიერება! „დედოფალი საბიისა,“ „ხვთის-მშობელი“... ნამდვილად გიყვარს მიზარიანცი, შეიყვარე, შეიყვარე, მართა, მშვენიერი წყვილი იქნებით!..

მიზარიანცი მხატვარი იყო, რაღაც უშნო, უგვარო, მახინჯი, სასაცილო ქმნილება. ბავშვობისას გადმოვარდნილიყო მალღობიდან, გასკყლეთოდა ცხვირის ხერხემალი, მოეტეხნა მარჯვენა ხელი. ხელი მოეკრათ, ხერხემალზე ორი დიდი კუზი ასჩნოდა... იქნება იმისი სახე სილამაზეს მოკლებული არა ყოფილიყო, ცვირი რომ ჩაქყლეთილი არა



რევოლიუციონერ ოსმალები

რევოლიუციონერ ჯარის უფროსი და სულთნის ტახტიდან ჩამომგდები მაჰმედ-შეჰკეთ-ფაშა (შუაშია)

„აი სისულელე თუ გინდა, ეს არის!“ — გაიფიქრა გულმოსულმა კრაინსკიმ. — ახლა ამის ახირებით მომიწამლავს მოსვენებას.“

— ყველას თავისი ხვედრი აქვს, მეგობარო, — უთხრა მართას არც თუ გაჯავრებით, არც ჩვეულებრივის ღიმილით: — მე ეხლა დავიწყებ ოსტეოლოგიის კითხვას, ეს მეცნიერებაა ძვლების შესწავლის შესახებ. ბატონმა რასინმა შესთხვა ტრაგედია და შენ, თუ გინდა, დაიმღერე „ma maman est mademoiselle“. ყველას თავისი ხვედრი აქვს... კრაინსკიმ აკოცა მარჯნის ფერ ტუჩებში და მართამაც კოცნითვე უპასუხა.

ამის შემდეგ ჩუმად დაიწყო მართამ რაღაც ფათური მეორე ოთახში... პატარა ხანს უკან კი მოისმა იმისი ჩვეულებრივი წკრიალა ხმა: მღეროდა ეხლა არა საეკლესიო საგალობელს, არამედ მსუბუქს, ჰაეროვან, ორ-აზროვან ლექსებს პარიზის ქუჩებისას:

Ma maman est mademoiselle,

Mon papa n'existe pas

და ყოველ სიტყვის კილოში, სიტყვებს გარეშე, ისმოდა იმისი სიხარული თავის სიყვარულისა და სიყმაწვილის სადიდებლად.

II


მართას გაბუტვა კრაინსკის ძრიელ ცოტას აწუხებდა, მაგრამ ის, ცოტა არ იყოს, მაინც აღელვებული იყო:



რევოლიუციონერ ოსმალები

რევოლიუციონერ ჯარის მიჰყავს დამარცხებული ჯარის-კაცი, მომხრენი სულთნისა.





**კავოლიუცია ოსმალითუი**

ტრამეის ვაგონით ბრძოლის დროს დაჭრილები მიჰყავთ.

ჰქონდა. მიზარიანცს მშვენიერი ცეცხლის მფრქვევი შავი თვალეზი ჰქონდა, გრძელი ხუჭუქი შავი თმა, ალისფერი მსხვილი ტუჩები. მაგრამ ამ კაცს მარტო სახე და გვაში არა ჰქონდა დამახინჯებული, დამახინჯებელი ჰქონდა გემოვნება: რასაც კი აკეთებდა ეს ყმაწვილი, ყველაფერი გასაოცარის სიმახინჯით იყო სავსე, რაღაც სასაცილო უაზრობით მოკული. ყოველი იმისი ნახატი კარიკატურას ემსგავსებოდა. თავის მახინჯ ბუნებას მით უმეტეს იმახინჯებდა იმითი, რომ უღვაშებს იპარსავდა, იზრდიდა ბაკებს და იხურავდა იმისთანა უშველებელ შლიაპას, რომ აჯავრებდა ადამიანს. დადიოდა ჩქარა და მხრებზე წამოგდებულ პალტოს კალთებს ჰაერში აფრიალებდა, ასე რომ შორიდან რაღაც უმსგავს ფრინველსა ჰგავდა. მიზარიანცი დიდი ოპტიმისტი იყო, მხიარული, მოცინარი და უყვარდა სიმღერა, თუმცა ხმა მეტად უსიამოვნო და ისეთი ძრიელი ჰქონდა, რომ თვით ჰერკულესაც შეშურდებოდა. როცა მღეროდა და იცინოდა, კაცს ეგონებოდა, ჰერი თავს მენგრევია.

თუმცა ერთი ხელის მეტი არა ჰქონდა, მაგრამ მაინც ძალიან მარჯვე იყო: ისე მშვენივრად ვერავინ ვერ წასთლიდა კარანდაშს, ისე მარჯვედ ვერავინ მოიხმარდა სამხატვრო კალამს აკადემიაში. ყველაზე ადრე ის ათავებდა ეტიუდს, მაგრამ ყველაზე უმსგავსადაც იმისი ნაწარმოები იყო ხოლმე დახატული. რაც უნდა მშვენიერი ყოფილიყო მოდელი, იმის ნახატზე რაღაც დაქყლებილი, დაქმუქნილი, დამახინჯებული გამოდიოდა. როდესაც შენიშნას აძლევდნენ, იგი სრულებით არა მორცხობდა, ჰირიქით, გაიქნევა ხოლმე თავის მშვენიერ ფაფარს და იტყოდა:

— რა ვქნათ: აბა თქვენ გამოსცადეთ, რა არის მარტო მარცხენა ხელით ხატვა!

სწამდა, რომ აქვს ნიჭი მხატვრობისა? მგონი რომ არა. მაგრამ დიდი ენტუზიასტი-კი იყო, თავანს სცემდა ხელოვნებას, გადარეული იყო ყველაფრისთვის, რაც კი შეეხებოდა ხელოვნებას—მხატვარს, სამხატვროს, საღებავს, სკიპიტარის სუნს, ანატომიას, სამხატვრო ამოცანას კარგად იცოდა ისტორია მხატვრობისა, ბიოგრაფია შესანიშნავ მხატვრებისა. უყვარდა თავის ხელით მომზადება სახატავ ტილოსი, იცოდა მოლბერტების გაკეთება, იცოდა ქიმიური შეერთება სხვა და სხვა საღებავისა, ბევრს მუშაობდა ახლად შეერთებულ სამღებროების აღმოჩენისათვის. არაფერი გამოდიოდა იმის შრომისაგან, მაგრამ თავგანწირულად ეძლეოდა საქმეს და ბევრს და მალღა ლაპარაკობდა თავის ბოხისა, ყროყინის მაგვარის ხმით

მიზარიანცი ძლიერ ღარიბი იყო, დიდ გაჭირვებას იტანდა, მაგრამ ეს გაჭირვება ხელს არ უშლიდა ყოველთვის

ახტაცებული ყოფილიყო, გატაცებით ეფუსფუსნა, მხიარულად და უზრუნველად ებაყბაყნა, ცხარედ ებაასნა ხელოვნებაზე, ყოველთვის ხელოვნებაზე, —ახალზე, ძველზე, მომავალ ხელოვნებაზე...

სამხატვრო გაღერეია ბევრი არ ენახა, მოგზაურობის შეძლება არა ჰქონდა, მაგრამ სამხატვრო კატალოგები ევროპის გაღერეებისა ისე კარგად ჰქონდა შესწავლილი, რომ თავისუფლად შეეძლო ლაპარაკი, ისე თავისუფლად, თითქო მთელის წლობით შესწავლოს ყველაფერი ალაგობრივ. ყოველთვის ლაპარაკობდა ბევრს და გატაცებით, ბევრს სისულელეს, ბევრს უაზრობას ჰბოდავდა, მაგრამ ყველაფერს გატაცებით და გრძობითა ჰბოდავდა.

— მიზარიანცის შეყვარება შეუძლებელია! — ამაყად და გულცივად სთქვა მართამ, — მაგრამ შენ იმაზე სიცილი არ შეგ შევნის, ის არტისტია, ის უთუოდ შექმნის მშვენიერ სურათებს და ოდესმე გაითქვამს სახელს!


— შენ კი ახლავე განთქმელი სისულელე ხარ! — მოუქრა კრაინსკიმ: — მე ეგ ყველაფერი შეიძლება მომწყინდეს და არ მოვისურვო შენი დაღვრემილი სახის ნახვა...

კრაინსკიმ აკრიფა თავისი წიგნები და უნივერსიტეტში წავიდა. მართა რამდენსამე ხანს იჯდა დაღონებული, მერე ადგა და წავიდა ლიუქსემბურგის ბაღში, სადაც იცოდა, რომ მიზარიანცი ხატავდა გამგლეღ-გამომგლეღთა შორის შესანიშნავ სახეებს.

**III**

კრაინსკი არ ექვიანობდა: სასაცილოდ მიაჩნდა მიზარიანცთან ქიშპობა, მაგრამ მაინც დიდად აჯავრებდა მართას ხშირი სიარული იმასთან: სახლში უწყესობა გამეფდა, აღარ იყო აღარც სისუფთავე, აღარც მოსვენება, აღარც ჩვეულებრივი სიწყნარე. ქალი შეიპყრო რაღაც შავმა ფიქრმა და სურვილმა.

— როგორა გგონიათ, უღვაშებს რად ვიპარსავ? — უთხრა ერხელ მიზარიანცმა მართას. — ბაკებს რათ ვიყენებ? იმიტომ რომ აივაზოვსკი იპარსავდა უღვაშებს და ატარებდა ბაკებს. — და დაუმატა ახტაცებით: — ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემ თავს, რომ მოსამსახურედ ვხლებოდი იმ დიდ გენიოს მხატვარს. მე იმის სამხატვრო კალმის წმენდითაც დავკმაყოფილდებოდი, არა თუ მიზაძვა გამებედნა! — თვალეზი ცრემლებით აფესო ამ დროს საწყალ ენტუზიასტს და სირცხვილით პირი კედლისაკენ მიიბრუნა.



**კავოლიუცია ოსმალითუი**

გამარჯვებული ჯარი (სულთნის მოწინააღმდეგე) ფერხულს უღლის.

მართა უსმენდა გრძობით, ახტაცებით, და როდისაც შეადარებდა ამ ორ კაცს—ერთს კუზიანს და მეორეს მშვენიერ ყმაწვილს, ყოველთვის უმჯობესობა კუზიანის მხარეზე იყო. მართალია, მიზარიანცი მახინჯი იყო, კრაინსკი ტანადი, მშვენიერი, სუფთა, სურნელოვანებით გაჟღენთილი; როცა ის და ეს ერთად ხელი-ხელ გაყრილი მიდიან ხოლმე ბელ-





ჩვეულებრივი ოსმალეთში

ჩვეულებრივი ოსმალეთში, სულთნის დამარცხების შემდეგ, ქუჩებში რევოლუციონერი ჯარი, სულთნის დამარცხების შემდეგ, ქუჩებში რევოლუციონერებს სწავლებას და იჭერს.

მიზეზი, ქვეყანა იმათ უყურებს, სტკბება იმათის მშვენიერებით, ხოლო როცა მიზარიათ დადის, ყველას უყვირს ამ მახინჯისა და მშვენიერ ქალის სიხლოვე... მაგრამ რა ვქნათ: კრაინსკი სწავლობს მართო ოსტეოლოგიას და არაფერს ეუბნება იმათზე, რომელნიც სთხზავენ ტრაგედიებს, არაფერს ეუბნება, თუ ვინ არის გირლანდაიო და ფრანკელიკო... მართას უყვარს კრაინსკი, მაღლობელია იმისი, რომ ჩინებულად მოაწყო მისთვის სახლი, მაგრამ იმასთან მოწყენილად არის, დაღონებულ-დაძმარებული და არც ისე სახარბიელოდ მიაჩნია, როგორც წინად. იმასთან ყოველთვის ჩუმად არის, იმას მართასთან ლაპარაკი არ მოსწონს, კუზიანი კი ყოველთვის ელაპარაკება: უხსნის, როგორ ხუნდება ზოგიერთი საღებავი და როგორ უცვლელია ოხრა; უხსნის, რომ სურათი ყოველთვის უპეწო უნდა იყოს და არ უნდა პრიალებდეს; უამბობს ხოლმე ახალ მხატვრულ სკოლაზე ესპანიაში, იმაზე, რომ ფლორენციაში არის პალაცო პიტტი, სადაც შესანიშნავი შედეგები მოიპოვება; ალტაცებით უხსნის „კომედი ფრანსე“-ში წარმოდგენილ იმ დრამას, რომლის შინაარსიც მართას თითქმის არ ესმის. მართალია, ფრანგულს საძაგლად ლაპარაკობდა, მაგრამ იმის ლაპარაკში იმდენი სიცოცხლე იყო, და ეს სიცოცხლე აღელვებდა ყმაწვილ ქალს და თვით ენთებოდა ენტუზიაზმით... მართამ არ იცოდა, რომ ქვეყანაზე არის „პროზა“, რომ ქვეყანაზე არის იმისთანა რამ, რომელსაც ჰქვია „პოეზია“. მაგრამ რომ აეხსნა ვისმეს იმისთვის ამ ორი სიტყვის მნიშვნელობა, ის მაშინვე იტყოდა, რომ კრაინსკი ჩაფლული იყო პროზულ მორევში, ხოლო მიზარიათი ანათებდა პოეზიის ცხოველ შუქით.

თვით ბინა კრაინსკისა, სუფთა, რიგიანი, მოპრანქული შეზიზღდა მართას. მიზარიათის ოთახი, მართალია, ქუჩიანი იყო, აქოთებული, სავსე სურათებით, ეტიუდებით, მოღბერტით, ფერადებით, სამხატვრო საგნებით, მაგრამ სავსე იყო იმის სამლოცველო ნივთებით... ჭერი მიზარიათს დაეხატა კარასუბაზარის სანახაობით, იმ სანახაობით, რომელიც მოაგონებდა თავის ძვირფას სამშობლოს. კუთხეებში რალაც გერბები იყო დახატული, გერბებს ზემოდან სომხურის ასოებით ლექსები გამოეხატა. შუა ჭერიდან ოთხ-კუთხევი გაბმული იყო სხვა და სხვა ფერის ქაღალდის გრებილი. მართალია, ყველა ამას ეტყობოდა მიზარიათის ჩვეულებრივი უგემურობა, უშნობა და სიმახინჯე, მაგრამ მართას ყველა ეს მოსწონდა და ახტაცებაში მოდიოდა.

რამდენჯერმე ქალი გადასაღებად მივიდა მიზარიათთან, რაც ამ უკანასკნელმა გამოხატა, საშინელება იყო (კრაინსკიმ აუხსნა მართას, რომ იმ ნახატებით ქალი სამოცი წლის ბებერს ემსგავსებოდა), მაგრამ მართამ არ დაუჯერა: ნახატები ორ-აზროვანია და შენ არა გესმის-რაო.

— ჰხედავ, რეებს გასწავლის? — შეჰყვარა კრაინსკიმ.

— ღიბ, მასწავლის... მასწავლის ის და არა შენ! —

მერე დაუმატა: — მიზარიათს რომ ჩემისთანა მეგობარი ჰყავდეს, უთუოდ შესანიშნავ რამეს დახატავდა: ან წმინდა ქალწულს, ან მესალინას, ან ასპაზიას...

— საწყალო, მთლად გამოშტერდი! — შეჰყვარა კრაინსკიმ. — ჰკითხე მაინც შენ საცოდავ კუზიანს: შეიძლება ერთის ქალიდან ხეთის-მშობლის გამოხატვაც და მესალინასიც! მართამ ზიზლით გადაჰხედა:

— რა გესმის ხელოვნებისა, შე ოსტეოლოგიავ!...

ქალი თანდათან უფრო შორდებოდა თავის მეგობარს, უფრო და უფრო უცივდებოდა გული იმაზე. იმისი ფიქრები მიიღტვოდნენ მახინჯთან, კუზიანისკენ... ის საზიზლარი იყო თავის გამრუდებულის ხერხემლით, მარჯვენა მოშორებულის მხრით, ჩამტვრეული ცხვირით სხარელი იყო... მაგრამ რამდენი მშვენიერება იყო იმის ბაასში, რამდენი მაღალი, წრფელი გატაცება თავის ხელოვნებით!..

როდესაც მართა უსმენდა მახინჯს და ღელავდა, ყოველთვის იგონებდა კრაინსკის წყნარ, ლამაზ, მოღიმარ ლაპარაკს ოსტეოლოგიაზე — ძვლების მეცნიერებაზე, და ყოველთვის კუზიანი კი არ იწვევდა ზიზლს, არამედ წარმოსადეგი ექიმი. მთელი სიცოცხლე იმასთან ლამაზად მოწყობილ ოთახში ეჩვენებოდა მართას მოწყენილად და ერთ-ფეროვანად: იქ იყო პარკეტი, პიანინო, სურნელოვანი ყვავილები, სადილს შემდეგ ტკბილი შარტრეზი, აქ კი, კუზიან ხელოვანთან, დაჟლილი გიტარა, ცხენის ხორცი, ცივი ქვის იატაკი... ამას გარდა, რადგან მიზარიათს არ შეეძლო მართას შენახვა, ის უნდა კვლავ შესულიყო ფეხსაცმლის ქარხანაში და დაეწყო ძველი საქმე: წაღების ყურების დაკერება. განა გასცვლის ყველა ამბებს?

IV

მხიარულმა, ბედნიერმა და მოღიმარმა მართამ წაიღო თავისი გადაწყვეტილება მიზარიათთან. წავიდა კრაინსკისაგან იმ გრძობით, როგორითაც მიეშურებიან ჩამყაყებულ სარდაფიდან სუფთა და თავისუფალ სოფლის ჰაერზე...

მართას გატაცებით უყვარს თავისი მახინჯი. ფიქრობს, რომ მხოლოდ ეხლა შეიგნო, რა არის სიყვარული. მართა მოწიწებით, ამპარტავნობით, სიხარულით ანთებული, უსმენს თავის მეგობრის აღვროვანებულ ბაასს დიად ხელოვნებაზე. მართა დღე და ღამ ემსახურება მიზარიათს სურათის ხატვის დროს, იმ სურათისა, რომელიც ყოველთვის დამხატველივით მახინჯია.

იგი მუშაობს ფეხსაცმლის ქარხანაში, დაუღალავად შრომობს სახლშიაც: რეცხავს, ხარშავს, აკეთებს, იატაკს სწმენდავს... და თუ რჩება როდისმე თავისუფალი დრო, მხიარულად აწკრიალებს თავის პატარა ხმას და მღერის თავის პატარა ლექსებს — პარიზის ქუჩის ორ აზროვან და სანტიმენტალურ ლექსებს...

მაგრამ რანაირიც უნდა იყოს სიტყვები იმის სიმღერისა, აზრი, კილო ყოველთვის ერთი და იგივეა — სიხარული, გარდაქმნა, სიყვარული; სიყვარული უკანასკნელი და მკვიდრი იმ კაცისადმი, რომელმაც შთაუწერა ყოველივე ის, რაც ადამიანს იზიდავს ამალღებისაკენ: სიყვარული მშვენიერებისა, ბრწყინვალეებისა, პოეზიისა, სინათლისა და სიტკბოებისა.

ექ. გაბაშვილისა.



ჩვეულებრივი ოსმალეთში

თავისუფალი მეომრები სულთნის მომხრე ჯარის დამარცხების შემდეგ ილღიზ-კოხისკენ მიდიან.